ქართული სამართლის ისტორია

ძველი ქართული სახელმწიფო სამართალი

გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო წყობილება XI–XV საუკუნეები

საქართველოს სახელმწიფო წყობილება XVII-XVIII ს-ში.

ქართული სამართლის ისტორია

მეფის ხელისუფლება

(“მართებანი” და “განსაგებელნი)

- საგამგეო – მშვიდობისა და წესრიგის დაცვა, განხეთქილებათა აკრძალვა, მთავართა ზაკვის ცნობანი
- საეკლესიო;
- საკანონმდებლო;
- მართლმსაჯულების;
- სამხედრო – ლაშქრის შეკრება, წვრთნა, მთავარსარდალი;
- საერთაშორისო;
- საფინანსო – საჭურჭლეთა შემოსავლების საკითხი…

ქართული სამართლის ისტორია

ტახტის მემკვიდრეობის წესი

სამეფო ნიშნები:

- გვირგვინი
- პორფირი
- სკიპტრა
- მახვილი და ხმალი
- საყდარი
- ძელი ცხორებისად
- დროშა

ქართული სამართლის ისტორია

დარბაზი

დარბაზის შემადგენლობა ოპიზის სიგელის მიხედვით –

შევკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღვდელთ-მოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ხევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი და დავსხენით წინაშე ჩუენსა.

ქართული სამართლის ისტორია

დარბაზობა შეიძლებოდა გამართულიყო დიდი და მცირე წესით;
ფუნქციები:

- საკანონმდებლო;
- მართლმსაჯულების;
- ომისა და ზავის გამოცხადების საკითხი;
- დიდ ხელისუფალთა არჩევა-დანიშვნის საკითხი;
- დარბაზობა სტუმრად თუ დახმარების სათხოვნელად მოსულ მეფე-მბრძანებლების, ან მათგან წარმოვლენილი დესპანების მისაღებად;
- დიდი დღესასწაულების დროს (გამეფების, გამარჯვებული ლაშქრის შინ დაბრუნების ან საეკლესიო).

ქართული სამართლის ისტორია

სავაზიროს შემადგენლობა

- მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი – სავაზიროს სხდომებს თავმჯდომარეობს, თუ მეფე არ ესწრება.

- ათაბაგი
- ამირსპასალარი
- მანდატურთუხუცესი

} სამთა ვაზირთა ჯგუფი

- მეჭურჭლეთუხუცესი
- მსახურთუხუცესი

} ორთა ვაზირთა ჯგუფი

ქართული სამართლის ისტორია

სავაზიროს სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ ასევე:

- **ამილახორი** – ამირსპასალარის მოადგილე;
- **საწოლის მწიგნობარი** – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მოადგილე, სხდომის მდივანი;
- **ამირეჯიბი** – მანდატურთუხუცესის მოადგილე.

მეაბჯრეთუხუცესი, განმგეთუხუცესი, საჭურჭლის ნაცვალი, მესტუმრე, ზარდახნის მწიგნობარი და სხვა ხელისუფალნი ვაზირობის დროს გარეთ იცდიდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში სავაზიროს განკარგულება სასწრაფოდ შეესრულებინათ.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი

ეს თანამდებობა 1103-1110 წწ. შემოღებული. იგი იყო მეფის მეჩეველი, სამეფო სპისა და სახლის განმგებელი, ითვლებოდა მეფის პირადი ქონების მმართველადაც. გააჩნდა სასამართლო ხელისუფლება, ხელმძღვანელობდა საჯო კარს.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მმართველობის ყველა დარგს უწევდა ზედამხედველობას და მეფის შემდგომ პირველი პირი იყო სახელმწიფოში; მას საეკლესიო საქმეებიც ეკითხებოდა, იგი სასულიერო პირი იყო და შედიოდა ოთხთა მონაზონთა ჯგუფში (მოძღვართ-მოძღვარი, ქართლის კათალიკოსი, აფხაზეთის კათალიკოსი და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი). მასვე ემორჩილებოდა ყველა ეკლესია-მონასტერი გარდა გელათისა.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი

მას ექვემდებარებოდა 26 მწიგნობარი, მათ შორის გამოირჩეოდნენ:

- საწოლის მწიგნობარი – იგი მეფესთან დაახლოებული პირია, ესწრება სვაზიროს სხდომას, თან ახლავს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს სააჯო კარზე.
- ზარდახნის მწიგნობარი – ახლავს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს სააჯო კარზე, გარეთ იცდიდა ვაზირობის დროს; მისი ერთ-ერთი მოვალეობას წარმოადგენდა ზარდახანის (იარაღის საწყობის) აღწერა წელიწადში ერთხელ.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი

ხელმწიფის კარის გარიგებაში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სასამართლო ფუნქციის შესახებ ვკითხულობთ: „ჭყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს, და ყოველი... საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის; და ზარდახნის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოიხსენიებს, რაც ვის რა სჭირს. და რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს, ადგების და რა ჟამსცა ჟამი იყოს, თჳით მივა და მაშინ იურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს; არ მოეშვების რომ არ დაიურვოს“.

ათაბაგი

ხელმწიფის კარის გარიგებაში ათაბაგი იხსენიება მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ და მას პატივის მხრივ თანასწორი ადგილი უკავია ამირსპასალართან და მანდატურთუხუცესთან ერთად.

პირველი ათაბაგი საქართველოში ივანე მხარგრძელი იყო. როცა მისი ძმა ზაქარია გარდაიცვალა, თამარ მეფემ ამისრსპასალარის სახელო ივანეს უბოძა, ხოლო ივანემ ამირსპასალარობის ნაცვლად მეფეს ათაბაგობა გამოსთხოვა. ეს მოხდა 1212 წელს.

ათაბაგობა სელჯუკიანთა სამეფოში იყო გავრცელებული და იგი ტახტის მემკვიდრის მეურვედ ითვლებოდა. ასეთივე ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული ათაბაგს საქართველოში.

ამირსპასალარი

წინამძღოლობდა ომში ჯარს, თუ მეფე უშუალოდ არ იღებდა მონაწილეობას საომარ მოქმედებებში, ადგენდა ლაშქრობის გეგმას; უიმისოდ არ წყდებოდა ისეთი საკითხი, როგორიცაა ქვეყნის საგამგეოდ მიცემა ან მამულის ბოძება ვინმესთვის. სამოხელეო ნიშანი – ხმალი.

ამირსპასალარის ქვემდებარე ჯარი:

- სამეფო სპა – საქართველოს ცალკეული კუთხეებიდან გამოყვანილი ჯარი;
- ყივჩაღთა ჯარი
- კავკასიის მთიელთა და სხვა ყმადნაფიც ქვეყნებიდან გამოყვანილი ჯარი
- მონა-სპა, ანუ მეფის პირადი მცველი ჯარი.

ჯარი შედგებოდა ქვეითებისა და ცხენოსნებისაგან.

ამირსპასალარი

ქვემდებარე მოხელეები

- ამირახორი – ამირსპასალარის მოადგილე, შედიოდა სავაზიროში სათათბირო ხმის უფლებით; ამირსპასალარი და ამილახორი ხმლით იდგნენ დარბაზობის დროს. მისი ძირითადი საქმიანობა ცხენოსანი ლაშქრის და მასთან დაქვემდებარებულ საკითხებთან იყო დაკავშირებული.
- მეაბჯრეთუხუცესი
- ზარდახნის უხუცესი
- აჩუხჩი
- ამირჩქარი
- მერემეთუხუცესი

მანდატურთუხუცესი

საპოლიციო და ცერემონიების ხელმძღვანელობის ფუნქცია. სამოხელეო ნიშანი ოქროს არგანი; მანდატურების უფროსი; მანდატურები ასევე ატარებდნენ არგანს.

მანდატურები გამოდიოდნენ მეფის მცველებად, იცავდნენ სავაზიროს სხდომის დროს, ხელმძღვანელობდნენ მეფის ვენახებს, აწესრიგებდნენ სამეფო დარბაზობისა და პურობის რიგს; მანდატურები ომის დროს საბრძოლო მოქმედებებში არ მონაწილეობდნენ და რჩებოდნენ სასახლის დასაცავად. მანდატურები სულ 300 სახლი იყვნენ აქედან 3 აზნაური დანარჩენი გლეხები. ისინი მთელ საქართველოში იყვნენ გაბნეულნი.

მანდატურთუხუცესი

სხვა ქვემდებარე მოხელეები:

- ამირეჯიბი – მანდატურთუხუცესის მოადგილე, მონაწილეობს სავაზიროს სხდომებში, ეჯიბების უფროსი;
- ეჯიბები (ეჯიბი – მეკარე);
- მესტუმრე;
- მერიგე;
- განმგეთუხუცესის ქვემდებარე მოხელეები: საგანმგეოს უფროსი, მეჯამეთუხუცესი, სარემოს ნაცვალი.

მეჭურჭლეთუხუცესი

მეჭურჭლეთა უფროსი, საფინანსო ფუნქციები, სამოხელეო ნიშანი – ბეჭედი.

ექვემდებარებოდა საჭურჭლე – ხაზინა, სადაც ინახებოდა ყოველდღიურად სახმარი და სახარჯავი ქონება.

ქვემდებარე მოხელეები:

- საჭურჭლის ნაცვალი;
- მუშრიბი – ქალაქთა ბაჟისა და გადასახადების ამკრეფი;
- საჭურჭლის მუქიფი – ძღვენთ გამგე;
- მეჭურჭლენი

მეჯურჭლეთუხუცესი

მეჯურჭლეთუხუცესის დაქვემდებარებაში შემავალნი:

- ძველი ქალაქები;
- ვაჭარნი;
- ქალაქის ამირანი;
- „მეჯურჭლენი“ ქალაქისანი;
- სავაჭრო გადასახადები;
- ბაჟი;

მსახურთუხუცესი

მსახურთუხუცესი მსახურთა უფროსი იყო, მისი სამოხელეო ნიშანია თვლიანი ბეჭედი; მის დაქვემდებარებაში იყო:

- სალარო – სადაც ინახებოდა არაყოველდღიურად სახმარი ქონება
- საწოლი – საწოლი და მისი სათავსოები.

ქვემდებარე მოხელეებია:

- მესაწოლეთუხუცესი–მესაწოლეები
- მოლარეთუხუცესი–მოლარენი
- ფარეშთუხუცესი–ფარეშები
- მეხილეთუხუცესი – მეხილე
- ციცხვთუხუცესი–ციცხვები

მსახურთუხუცესი

მოლარეთუხუცესი ვაზირობის დროს კართა შიგან დგას, მესაწოლეთუხუცესი კი გარედა. მესაწოლეთუხუცესი ემსახურებოდა მეფეს, როდესაც ის უკაზმავი იყო. მას მესაწოლენი ექვემდებარებოდნენ შვიდასი სახლი, აქედან 8 გლეხის სახლი იყო დანარჩენი აზნაურების. თუ მეფე აიყრებოდა შვიდასი შუბოსანი მას თან უნდა გაჰყოლოდა. მესაწოლენი, ძირითადად მეფის მცველები იყვნენ.

საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი

ქართული სამოხელეო აპარატი ორი ნაწილისაგან შედგებოდა, ერთი იყო „დარბაზის კარის მოხელენი“ და მეორე – „საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი“, თუ ერთნი სამეფო კარზე მსახურობდნენ, მეორენი ადგილებზე იყვნენ დანიშნულნი და ცენტრს იქიდან ემსახურებოდნენ.

საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები იყვნენ:

- ერისთავთ-ერისთავები
- ერისთავები
- ხევისთავები
- ციხისთავები

საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი

შესაბამისად ქვეყანა დაყოფილი იყო:

- საერისთავთ-საერისთავოებად
- საერისთავოებად
- სახევისთაოებად და სახევისუფლოებად
- საციხისთავოებად

ძირითად ტერიტორიულ ერთეულს საერისთაო წარმოადგენდა; ერისთავს გააჩნდა ადმინისტრაციული, სამხედრო და სასამართლო ფუნქციები. დიდ საერისთაოს ან ორ გაერთიანებულ საერისთაოს საერისთავთ-საერისთაო ეწოდებოდა. საერისთაო იყოფოდა სახევისთაოებად, ეს უკანასკნელი კი საციხითავოებად. საციხისთაოში ერთი ციხე მაინც უნდა ყოფილიყო.

ქართული სამართლის ისტორია

ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო წყობილება XVII-XVIII საუკუნეებში

განსახილველი საკითხები:

- მეფის ხელისუფლება
- სახელმწიფო საბჭო (დარბაზი)
- მმართველობის უმაღლესი ორგანოები
- ადგილობრივი მმართველობა

ქართული სამართლის ისტორია

მეფე – დასუსტებული ხელისუფლება, საკანონმდებლო ფუნქცია, უმ. მმართველობის ფუნქცია - სამეფო კარის მართვა, სამხედრო გამგებლობა, საეკლესიო გამგებლობა, საფინანსო, საგარეო, გადასახადები და ბაჟი...

სახელმწიფო საბჭო – დარბაზი – მეჯლისი – იწვევდა და თავმჯდომარეობდა მეფე, ესწრებოდნენ: კათალიკოსი, არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოსები, წინამძღვრები, მუხრანბატონი, არაგვისა და ქსნის ერისთავები, სარდლები, ამილახვარი, მდივანბეგი... მცირე საბჭო

დარბაზობას ესწრებოდნენ ასევე, მდივანი, სახლთუხუცესი და ნაზირი

ქართული სამართლის ისტორია

მმართველობის უმაღლესი ორგანოები

ა)**მმართველობის ცენტრალური აპარატი** – სასახლის კარის მსახურნი და სამეურნეო საფინანსო აპარატი

<u>**სახლთუხუცესი**</u>-სამეურნეო ადმინისტრაციული ფუნქციები: მისი მონაწილეობით – მამულის ბოძება, გლეხის გაცემა, სახელოს ბოძება, ჯამაგირის საბუთი, სამხედრო ფუნქცია…

<u>**ნაზირი**</u>-სამეურნეო-საფინანსო მოხელე: საწყობები ებარათ, ამარაგებდნენ სამეფო კარს,კრეფდნენ გადასახადებს;

ქართული სამართლის ისტორია

- <u>მოლარეთუხუცესი</u>-მოლარეების უფროსი-ებარა ფართლეული და ტანისამოსი, შესაკერი ნაჭრები,საჩუქრები;
- <u>თავლიდარი</u>-საწყობის გამგე, გამგეთუხუცესი
- <u>მუშრიბი</u> - მწერალი-აღმრიცხველი
- <u>თუშმალი</u> - სამზარეულოს მოხელე, ასევე <u>ყასაბი</u>, <u>წყლის</u> <u>მზიდავი,</u> <u>მეთეფშე</u>…
- <u>სუფრაჩი –</u> მზარეულთუხუცესია – <u>ფარეშთუხუცესი</u>, <u>მეკარვე,</u> <u>შიგმდეგი,</u> <u>ფარეშხანის</u> <u>ტარუღა,</u> (სუფრის გაშლა) <u>ყალიონ-ყორჩი,</u> <u>ჩაის მოხელე,</u> <u>ყავის</u> <u>მომტანი</u>

ქართული სამართლის ისტორია

- **<u>მემაშიე</u>** (ფეხსაცმლის მირთმევა), **<u>აბდარი</u>** (წყლის მირთმევა, იცავდნენ წყალს), **<u>სუფრაქეში</u>** (საჭმლის დარიგება),
- **<u>მერიქიფეთუხუცესი,</u>** **<u>მეღვინეთუხუცესი,</u>** **<u>ამბარდანი,</u>** (პურის გადასახადის აკრეფა, შენახვა) **<u>მუჯირი</u>** (ებარა ხორბლის საწყობი)
- **<u>ხასადირი</u>** (მიწებზე) **<u>ფეშქაშნავისი</u>** (ძღვენთა მნე) **<u>ქილიფთარი</u>** (მოლარე) **<u>გადასახადის</u>** **<u>ამკრეფი</u>** **<u>მოხელენი</u>**
- **<u>სახაბაზოს</u>** **<u>მოხელენი</u>** – **<u>მეგოდრეთუხუცესი,</u>** **<u>მეგოდრე,</u>** **<u>ხაბაზი,</u>** **<u>მეშარბათე</u>**

ქართული სამართლის ისტორია

- <u>ნაღარახანის მოხელენი</u>–მექნარე, მებუკე, მეზურნე, მენაღარე
- <u>ალანდარი</u> (მეალმე, 4)
- <u>საჯაბადარო მოხელენი</u> – იარაღის, ტყვია-წამლის შენახვა და მოვლა-შეძენა (საჯაბადრო-იარაღისა და ტყვია-წამლის შესანახი საწყობია)
- <u>სამკერვალოს მოხელენი</u>
- <u>აუშტარი</u> – ბრინჯი, თევზი, ერბოთი მომარაგება
- <u>სანადიროს მოხელენი</u> – ბაზიერთუხუცესი
- <u>საჯინიბოს მოხელენი</u> – ზინდარი – უნაგირი
- <u>ცხენის მოშენების მოხელენი</u> - მეჯოგეთუხუცესი

ქართული სამართლის ისტორია

ბ)მეფის სამდივნო – <u>მდივანი</u> – <u>მწერალი</u>, სიგელის, გუჯარის, ბრძანებების შედგენა...

- <u>მირზა</u> – თათრული მოსახლეობისათვის განკუთვნილი მწერალი
- <u>მურდარი</u>-ბეჭდის მცველი

ქართული სამართლის ისტორია

გ)საპოლიციო აპარატი – <u>ეშიკაღასბაში</u> - მანდატურთუხუცესის მონაცვლე, - ქონების კონფისკაცია, განაჩენის აღსრულება, ყმების აყრა, დავალებების შესრულება...

- **<u>ბოქაულთუხუცესი</u>** (იასაულთუხუცესი), – **ბოქაულები**
- **<u>სოიბათიასაული</u>** – მანდატურები - საიარაღო სამსახურია
- **<u>ყორიასაული</u>** – ღამით სასახლის დაცვა, დღისით დივანბეგის სასამართლოში წესრიგის დაცვა

ქართული სამართლის ისტორია

საპოლიციო აპარატი (გაგრძელება)

- <u>**მემანდარი**</u> -სტუმრების მიღება და გაცილება – 2 მემანდარბაში, 7 მემანდარი
- <u>**ყაფიჩი**</u> – მეკარე – ხელჯოხიანი
- <u>**ჯარჩი**</u> – სამხედრო-სამეურნეო-სანადირო ფუნქციები, ხელჯოხიანი
- <u>**თალიში**</u> – ხელჯოხიანი – დაცვა
- <u>**იასაული**</u> – მანდატური, ბოქაული, ხელჯოხიანი
- <u>**შათირი**</u> - შიკრიკი

ქართული სამართლის ისტორია

დ) მეფის დაცვის ორგანიზაცია –

- <u>**ყულარაღასი**</u> – დაცვისა და სასამართლო ფუნქცია, მეფის დაცვის რაზმის უფროსი, 120-40 – უზბაში - მეთოფეები
- <u>**ყორჩიბაში**</u> – (ყორჩი გვამის მცველი) – დაცვის უფროსი
- <u>**ქეშიკჩიბაში**</u> – პირადი მცველი
- **მინბაში,**
- **უზბაში,**
- **მეთოფე,**
- **ლაშქარნავასი**

ე) განსაკუთრებული ხასიათის მოხელენი – ვეზირი (ირანის წარმომადგენელია, მეფის მრჩეველი), **მუსტოფი** - მოანგარიშე, აღმრიცხველი

ქართული სამართლის ისტორია

ადგილობრივი მმართველობა

- ა)საერისთავოები და ერისთავები
- ბ)სადროშო და სარდალი (4 სადროშო – მეწინავე, მემარჯვენე, მემარცხენე, მეფის)
- გ)მოურავი, ნაცვალი, მამასახლისი, მელიქი, გზირი, ქემხა, ქედხუდა...
- დ)ხევი
- ე)სოფელი
- ვ)საქალაქო წყობილება წყობილება და მმართველობა

შეკითხვები?

გმადლობთ ყურადღებისათვის!

გისურვებთ წარმატებებს!